საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი – ს. ი. უ. ს.

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.08.2022

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: 065/22

მომართვა შემოტანილია: ადვოკატ თ. ი.-ის /სიითი №/ მიმართ

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ი.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 2022 წლის 04 აგვისტოს ეთიკის კომისიას მომართა ს. ი. უ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ი.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის მიხედვით, ს. ი. უ. ს.-ს მდივანმა განიხილა ს. ი. უ. ს.- ში 2022 წლის 10 ივნისს შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის განკარგულება მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე, რომლის თანახმად, ადვოკატ თ. ი.-ის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნ. ბ.-სთან აპლიკაციების „Facebook Messenger"-ის და „Whatsapp"-ის გამოყენებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები ჩაითვალა „საერთო სასამართლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის XII1 თავის მოთხოვნათა დარღვევად და ადვოკატი თ. ი. დაჯარიმდა 300 ლარით.

1.3 საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2022 წლის 07 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები, მათ შორის, ადვოკატ თ. ი.-ის მიერ მოსამართლე ნ. ბ.-

სთან აპლიკაციების „Facebook Messenger“-ის და „Whatsapp“-ის გამოყენებით გაგზავნილი, იდენტური, მოკლე ტექსტური შეტყობინებები - „ნ. როგორ ხარ? უზრუნველყოფის უარის საფუძველი გვაინტერესებს, თუნდაც სიტყვიერად და თანაშემწე უარს გვეუბნება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები რატომ. შესაბამისად, თუ არ შეწუხდები, იქნებ სთხოვო, რომ დაგვირეკოს ამ არგუმენტაციის თაობაზე. მადლობა წინასწარ.“ ს. ი. უ. ს.-ს მოთხოვნაა, ადვოკატ თ. ი.-ის მიმართ ეთიკის კომისიამ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტიდან გამომდინარე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 16 აგვისტოს, ადვოკატმა თ. ი.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება. ადვოკატმა თ. ი.-მა წარმომადგენელთან - ადვოკატ თ. ბ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 13 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაში, ხოლო 2022 წლის 28 დეკემბერს ადვოკატი თ. ი. დაესწრო განხილვის კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ნ. ბ.-ის წარმოებაშია დ. წ.-ის საკასაციო საჩივარი სს “თ. ბ.“-ის მიმართ, სადაც ის იცავს სს “თ. ბ.“-ის ინტერესებს. აღნიშნულ საქმეზე სს “თ. ბ.“-მა მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დ. წ.-ის მიმართ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი იმავე დღეს გაეგზავნა სს “თ. ბ.“-ის წარმომადგენლებს, თუმცა დასაბუთებული განჩინება მხარეებს არ გადასცემიათ კანონით დადგენილ ვადაში და არც ზეპირად მიუღიათ რაიმე სახის განმარტება. მხარემ რამდენჯერმე სთხოვა მოსამართლეს დასაბუთებული განჩინების გადაგზავნა, თუმცა უშედეგოდ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების დასაბუთებას, ვინაიდან იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს რამდენიმე დავა და ადვოკატებს კლიენტის დასაცავად უნდა განესაზღვრათ სამოქმედო სტრატეგია, მან აპლიკაციების „Facebook Messenger“-ის და „Whatsapp“-ის გამოყენებით მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაუგზავნა მოსამართლე ნ. ბ.-ს და სთხოვა თანაშემწის დახმარებით და არა უშუალოდ მოსამართლის მიერ, მისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია განჩინების თაობაზე, ვინაიდან განჩინების სამოტივაციო ნაწილის გაცნობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისწარმოებისათვის. მოსამართლესთან კომუნიკაცია სხვა საკითხზე არ მომხდარა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლეს მიმართა კომუნიკაციის ისეთი საშუალებით, რაც ხელმისაწვდომი არ იქნებოდა მეორე მხარისათვის, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქმე ეხებოდა უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომელიც განიხილება მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე; განჩინება არ საჩივრდება და ადვოკატი ითხოვდა მხოლოდ არგუმენტაციის გადაცემას, რაც მხარის უფლებას წარმოადგენს და ვერ ჩააყენებდა მეორე მხარეს არასათანადო პირობებში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მოსამართლესთან კომუნიკაცია არ წარმოადგენს უკანონო ქმედებას და კანონის 72-ე პრიმა მუხლი ითვალისწინებს კუმულატიურად რამდენიმე პირობის არსებობას: 1. პროცესის მონაწილის კომუნიკაციის ფაქტი მოსამართლესთან; 2. კომუნიკაცია დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან.; 3. კომუნიკაცია უნდა არღვევდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის, შეჯიბრებითობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. ადვოკატის განცხადებით, კომუნიკაციის შინაარსი არ ეხებოდა არც კონკრეტული საქმის განხილვას და არც სავარაუდო შედეგს. ადვოკატი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქმის მხარეებისათვის ცნობილი იყო შედეგი; მისი შეტყობინება არ შეიცავდა პრეტენზიას ან ისეთი მტკიცებულებების გადაცემის მოთხოვნას, რაც დაარღვევდა შეჯიბრებითობის პრინციპს და ვერც სასამართლოს განწყობის ფორმირებაზე იქონიებდა ზეგავლენას.

2.6 ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სასამართლომ ის დააჯარიმა 300 ლარით, მაშინ როცა მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევაზე, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა 5000 ლარია. საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე ადვოკატმა თ. ი.-მა აღნიშნა, რომ ვინაიდან ჯარიმა წარმოადგენდა საკმაოდ მცირე თანხას, მან გადაიხადა ჯარიმა და არ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის განკარგულება. ადვოკატმა თ. ი.-მა დამატებით განმარტა, რომ კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად და კლიენტთან შეთანხმებით, ის ჩამოშორდა სს „თ. ბ.“-ის წინააღმდეგ დავას, საქმეზე N---.

2.7 2022 წლის 28 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა თ. ი.-მა განმარტა, რომ მისი ქცევით ზიანი არ მისდგომია მოწინააღმდეგე მხარეს ან საქმის განხილვას. მიუხედავად ამისა, მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ის თავს აარიდებდა მოსამართლესთან მის წარმოებაში არსებულ საქმეზე არაფორმალურ კომუნიკაციას, რასაც გაითვალისწინებს მომავალში საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1. 2019 წლის 13 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ი.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე სასამართლოსთან კომუნიკაციის წესის დაცვის ვალდებულების დარღვევის ნაწილში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლის 9.2).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატი თ. ი. საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგენდა მოპასუხე მხარის - სს „თ. ბ.“-ის ინტერესებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის განმარტება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 ივნისის განკარგულება №---.

4.1.2 მოსამართლე ნ. ბ.-ის წარმოებაში იყო საქმე N--- (მხარეები: დ. წ. - სს „თ. ბ.“), სადაც მოპასუხე მხარის ადვოკატს წარმოადგენდა თ. ი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 ივნისის განკარგულება №---.

4.1.3 2022 წლის 25 მაისს, 18:04 საათზე და 27 მაისს 13:27 საათზე ადვოკატმა თ. ი.-მა მოსამართლე ნ. ბ.-ს აპლიკაციების: „Facebook Messenger“- ის და „Whatsapp“- ის გამოყენებით გაუგზავნა იდენტური შეტყობინებები: „ნ. როგორ ხარ? უზრუნველყოფის უარის საფუძველი გვაინტერესებს, თუნდაც სიტყვიერად და თანაშემწე უარს გვეუბნება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები რატომ. შესაბამისად, თუ არ შეწუხდები, იქნებ სთხოვო, რომ დაგვირეკოს ამ არგუმენტაციის თაობაზე. მადლობა წინასწარ.“ შეტყობინებები ეხებოდა განჩინებას, საქმეზე N---.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებას;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 ივნისის განკარგულება №---;

მოსამართლე ნ. ბ.-ის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2022 წლის 27 მაისს წარდგენილი განცხადება;

ადვოკატ თ. ი.-ის მიერ მოსამართლე ნ. ბ.-სთვის გაგზავნილი შეტყობინებების ასლები „სქრინი“-ის სახით.

4.1.4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის 2022 წლის 10 ივნისის განკარგულებით, ადვოკატ თ. ი.-ის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნ. ბ.-სთვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72-ე პრიმა მუხლის გათვალისწინებით მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებელ ფორმად შეფასდა; ადვოკატი თ. ი. მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევისთვის დაჯარიმდა 300 ლარით, რაც ადვოკატს არ გაუსაჩივრებია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის განმარტება;

ს. ი. უ. ს.-ს 2022 წლის 04 აგვისტოს მომართვა;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 ივნისის განკარგულება №---.

5 **შემაჯამებელი დასკვნა:**

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ი.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება

6.1 ადვოკატი თ. ი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მოსამართლე ნ. ბ.-ს დაუკავშირდა მოსამართლის წარმოებაში არსებულ კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის, კერძოდ, სასამართლოს არგუმენტების მიღების მიზნით, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი:

„ადვოკატი არ უნდა შეხვდეს ან დაუკავშირდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა“.

6.2 „ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამდენად, ისინი თამაშობენ საკვანძო როლს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასამართლოები, რომელთა მისია ფუნდამენტურია კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში, საზოგადოების თვალში ნდობით სარგებლობდნენ“ (იხ. Schöpfer v. Switzerland, 20.05.1998 §29-30; Nikula v. Finland, N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42).

6.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ნების შესაბამისად და კლიენტთან შეთანხმებით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და კანონის მოთხოვნათა დაცვით პროფესიონალურად დაიცვას კლიენტი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს მიმართოს განცხადებებითა და შუამდგომლობებით და ა.შ. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა და ღირსება სწორედ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მის მიერ კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებაში ვლინდება.

6.4 „ადვოკატმა კლიენტის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული საშუალებები. დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად მოსამართლის მიმართ რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე ნებისმიერი ზეგავლენის განხორციელების აკრძალვას ან იმის შთაბეჭდილების შექმნას, რომ რადგან სასამართლო ახორციელებს ცალკე კომუნიკაციას მხარესთან ან მის წარმომადგენელთან, ის მიკერძოებულია. ექსპარტე კომუნიკაციაის დაუშვებლობა სასამართლოს მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის და მართლმსაჯულებადმი ნდობის არსებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N027/19).

6.5 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია საქმის განმხილველ მოსამართლესთან კონკრეტულ საქმეზე კომუნიკაცია, მაშინ როცა საქმე უკვე სასამართლოს წარმოებაშია. ხოლო

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ზოგად სტანდარტს, რომ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, კონკრეტულ საქმეზე ადვოკატის მოსამართლესთან კომუნიკაცია აკრძალულია. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიდგომა ზოგადია და განმარტებას საჭიროებს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი აზუსტებს, რომ პროცესის მონაწილის მხრიდან კომუნიკაცია აკრძალულია იმ მოსამართლესთან, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.“ ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი მოსამართლესთან კომუნიკაციის სტანდარტის დადგენის დროს სპეციალურია ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის კოდექსთან მიმართებით, ამიტომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი არ უნდა განიმარტოს განყენებულად, არამედ განმარტების შევსებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72[1] მუხლით დადგენილი სტანდარტებით“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N027/19).

6.6 „ექსპარტე კომუნიკაციის აკრძალვა საქმის განმხილველ მოსამართლესთან მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი პრინციპია და გამომდინარეობს ერთის მხრივ: მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპიდან - კონსტიტუციის 62.5 მუხლი (ძველი რედაქციით 85.3 მუხლი), მეორეს მხრივ, საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორცილების აღქმის დამკვიდრების საჭიროებიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 85.3 მუხლის განმარტებისას დაადგინა, რომ „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თანასწორობა შეჯირებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები - საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. 29.09.2015, პარაგრაფი 19). ექსპარტე კომუნიკაციის შედეგად მეორე მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, უარყოს ან სხვანაირად გააქარწყლოს მხარის მიერ მოსამართლისთვის მიწოდებული ინფორმაცია, შესაბამისად იზღუდება შეჯიბრებითობის და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N027/19).

6.7 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს აკრძალვას მოსამართლესთან კონკრეტულ საქმესთან მიმართებით შეხვედრაზე, რაც გულისხმობს, რომ აკრძალულია მოსამართლესთან ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია, რაც უკავშირდება კონკრეტულ საქმეს. ადვოკატის მიმართ დადგენილი ეს ვალდებულება გამომდინარეობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი სტანდარტიდან, რომლის თანახმად აკრძალულია კომუნიკაცია მოსამართლესთან. ადვოკატი სხვა მოქალაქეების მსგავსად ვალდებულია დაიცვას კანონი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის მხრიდან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში სახეზე იქნება ეთიკური ვალდებულებების დარღვევაც. ადვოკატმა განსაკუთრებით უნდა დაიცვას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი სტანდარტი, რასაც დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსი, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოსამართლესთან კომუნიკაცის წესის დარღვევას აფასებს ადვოკატის ეთიკურ გადაცდომად. შესაბამისად, ზოგადი აკრძალვა ექსპარტე კომუნიკაციის კიდევ უფრო მკაცრია ადვოკატებთან მიმართებით, ვინაიდან ის უკავშირდება ადვოკატის მაღალ სტატუსს და მის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადვოკატები წარმოადგენენ თვითრეგულირებად პროფესიას, ისინი მონაწილეობენ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაში და მათთვის კარგად ცნობილი უნდა იყოს მოსამართლესთან ექსპარტე კომუნიკაციის დაუშვებლობა და საქმის შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დაცვით განხილვის მნიშვნელობა“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N027/19).

6.8 სასამართლოსთან კომუნიკაციის წესის სტანდარტის დარღვევაზე განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს მომართვის ავტორმა და ადვოკატმა თ. ი-მა. ადვოკატი თ. ი. არ ეთანხმება მომართვის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ მისი ქმდებით ზიანი არ მისდგომია საქმის განხილვას ან მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, თუმცა, 2022 წლის 28 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ის ეცდებოდა მეტი წინდახედულობა გამოეჩინა მოსამართლესთან კომუნიკაციისას და მომავალში, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს სადავო საკითხთან მიმართებაში. მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატმა თ. ი.-მა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნ. ბ.-ს, 2022 წლის 25 მაისს 18:04 საათსა და 27 მაისს 13:27 საათზე, აპლიკაციების: „Facebook Messenger” და „Whatsapp“-ის გამოყენებით გაუგზავნა შემდეგი შინაარსის იდენტური შეტყობინებები: „ნ. როგორ ხარ? უზრუნველყოფის უარის საფუძველი გვაინტერესებს, თუნდაც სიტყვიერად და თანაშემწე უარს გვეუბნება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები რატომ. შესაბამისად, თუ არ შეწუხდები, იქნებ სთხოვო, რომ დაგვირეკოს ამ არგუმენტაციის თაობაზე. მადლობა წინასწარ.“ შეტყობინებები ეხებოდა განჩინებას, მოსამართლე ნ. ბ.-ის წარმოებაში არსებულ საქმეზე N---, სადაც მოპასუხე მხარის ადვოკატს წარმოადგენდა თ. ი.

6.9 განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, 2022 წლის 28 დეკემბერს მოისმინა ადვოკატ თ. ი.-ის პოზიცია; რა დროსაც ადვოკატმა თ. ი.-მა კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსამართლე ნ. ბ.-თან აპლიკაციების - „Facebook Messenger"-ის და „Whatsapp"- ის საშუალებით, 2022 წლის 25 მაისს 18:04 საათზე და 2022 წლის 27 მაისს 13:27 საათზე კომუნიკაციის ფაქტი და განმარტა, რომ მან კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით მიმართა მოსამართლეს; ადვოკატი მოსამართლეს უშუალოდ არ სთხოვდა ინფორმაციის მიწოდებას, არამედ სთხოვდა მას თანაშემწის დახმარებით მიეწოდებინა მისთვის კონკრეტულ საკითხზე მიღებული განჩინების შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლოს არგუმენტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სტრატეგიის შემუშავებაში. ადვოკატის მიერ გაგზავნილი შეტყობინება არ ატარებდა სასამართლოზე ზემოქმედების მიზანს და ეხებოდა უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე განიხილება. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ ადვოკატი სადავოდ არ ხდის მოსამართლესთან არაოფიციალური გზით კომუნიკაციის ფაქტს და 2022 წლის 28 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, ის მეტ წინდახედულებას გამოიჩენდა საქმის განმხილველ მოსამართლესთან კომუნიკაციისას და თავს აარდიდებდა მასთან აპლიკაციების საშუალებით მიმოწერას, რომელსაც არაფორმალური შინაარსი ექნებოდა. განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს რომ მოსამართლესთან არაოფიციალური კომუნიკაცია შედგა ისეთ საქმეზე, რომელზეც საბოლოო შედეგი არ იყო დამდგარი და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაც სწორედ მიმდინარე საქმეს უკავშირდებოდა.

6.10 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას, რომ ეთიკის კოდექსი არ აზუსტებს მოსამართლესთან შეხვედრა ან ნებისმიერი სახით კომუნიკაცია უკავშირდება მხოლოდ რჩევის მიღებას; კონკრეტული დოკუმენტისა თუ ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნას ან/და დახმარების თხოვნას. მოცემული აკრძალვა ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს. როდესაც ადვოკატი ისეთი სახის სოციალურ ქსელებს ირჩევს მიმდინარე საქმეზე მოსამართლესთან კომუნიკაციისას, როგორებიცაა "Facebook Messenger" და "Whatsapp" და რომლებიც წარმოადგენს კომუნიკაციის არაოფიციალურ საშუალებას, რაც საზოგადოებაში გავრცელებული სტანდარტის მიხედვით არის პირადი ურთიერთობებისათვის შექმნილი სოციალური ქსელები, ხოლო მიმდინარე საქმეზე მიღებული არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, ადვოკატის მიერ მოსამართლესთან კომუნიკაციის არაოფიციალური წყაროს გამოყენებით ურთიერთობა, გონიერი დამკვირვებლის თვალში ქმნის სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის საფრთხეს. ადვოკატის მხრიდან მოსამართლესთან არაოფიციალური კომუნიკაცია შესაძლოა იწვევდეს გონივრულ ეჭვს, ხომ არ ცდილობს ადვოკატი უპირატესობის მოპოვებას და მოსამართლისათვის წინასწარი განწყობის შექმნას ისეთი საშუალებებით, რაც წარმოადგენს კანონით დადგენილი სტანდარტიდან გადახვევას. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ თ. ი.-ის მიერ მოსამართლისათვის გაგზავნილი შეტყობინებების შინაარსზე: „ნ. როგორ ხარ? უზრუნველყოფის უარის საფუძველი გვაინტერესებს, თუნდაც სიტყვიერად და თანაშემწე უარს გვეუბნება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები რატომ. შესაბამისად, თუ არ შეწუხდები, იქნებ სთხოვო, რომ დაგვირეკოს ამ არგუმენტაციის თაობაზე. მადლობა წინასწარ.", რომელიც კოლეგიის შეფასებით, მესამე პირის

მიერ შესაძლოა აღქმული იყოს როგორც არა განჩინების გადაცემის თხოვნა, არამედ მოსამართლისათვის მოწოდება, დაავალოს თანაშემწეს ადვოკატისათვის სასამართლოს არგუმენტებისა და დასაბუთების გაზიარება. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოსამართლესთან არაოფიციალური კომუნიკაცია შედგა ისეთ საქმეზე, რომელზეც საბოლოო შედეგი არ იყო დამდგარი და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაც სწორედ მიმდინარე საქმეს უკავშირდებოდა, თუმცა ადვოკატის როლის გათვალისწინებით, თ. ი. მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის, აპლიკაციების: „Facebook Messenger" და „Whatsapp"-ის გამოყენებით აღნიშნული შეტყობინების გაგზავნა ცალსახად წარმოადგენს კომუნიკაციის წესიდან გადახვევას.

6.11 განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მხედველობაში მიიღო ადვოკატის პოზიცია და მიიჩნია, რომ ადვოკატმა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის შეტყობინებების გაგზავნით დაარღვია „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტი, მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

6.12 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება."

6.14 განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში, ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატმა თ. ი.-მა, 2022 წლის 28 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა, რომ მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა მოსამართლესთან კომუნიკაციის დროს და თავი უნდა აერიდებინა მასთან აპლიკაციების საშულაებით მიმოწერისათვის. ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მომავალში, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, საქმის განმხილველ მოსამართლესთან მსგავსი სახის კომუნიკაციას მისი მხრიდან ადგილი აღარ ექნება. განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს ადვოკატის პიროვნულ მახასიათებლებს - ფაქტს, რომ ის კორექტულია მიმოწერაში და პატივისცემას გამოხატავს მოსამართლის პიროვნების მიმართ;

დისციპლინური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ სხვა გარემობებს, მათ შორის ფაქტს, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა: ადვოკატის მხარიდან პროფესიული ვალდებულებების გათვითცნობიერების ხარისხის ამაღლება და მომავალში ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედებისგან თავის შეკავების სტიმულირება.

6.15 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N065/22 ადვოკატ თ. ი.-ის /სიითი N/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/